მარადიული სალამი.

# ცხოვრება და სიყვარული.

ცხოვრება ბრძოლის ველია. ყოველი არსება იბრძვის არსებობისათვის.

გამოსულა ცხოვრების ასპარეზზე და თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებს, რათა როგორმე მთელ თავის სიცოცხლეში იყოს უზრუნველყოფილი; მთელ თავის სიცოცხლეში ტკბილად აკარებდეს სიცოცხლის იმ წუთებს, რომელიც ხშირად მწარენი არიან, ანსრა და ხშირად ძლიერ სანეტარონი არიან. მშვენიერი ბუნების ყოველი შვილი იბრძვის თავგანწირულად, რათა ცხოვრება მომართოს ისე, როგორც მასა სურს. ამისათვის იგი თავს არ ზოგავს; ამისათვის იგი ბრძოლას ანდომებს იმწუთებს, რომელნიც ხშირად სანეტარონი არიან, რომელნიც ხშირად მთელ სიცოცხლეზე ღირან; ხოლო მის ასეთ თავგანწირულ ბრძოლას ალხეინად თავს დაჰყურებს თავისი მშობელი – ესე იგი ბუნება; რომელიც ყოვლის მნახველია. ხედავს იგი თავისი შვილის ასეთ ბრძოლას, მაგრამ იგი არავითარ დახმარებას არ უწევს, არავითარ ნუგეშს არ აძლევს, ხოლო როდესაც ადამიანი დამარცხდება ამ ბრძოლაში და გამოესალმება სამუდამოდ ამ-ქვეყნიურ ცხოვრებას, იგი ყოვლის უარის უთქმელად

მიიღებს თავის შვილს და ჩაიხუტებს გულში, სადაც ყოველგვარი არსება ერთად იყრიან თავს. არის შემთხვევა, როდესაც ამ ბრძოლიდან ადამიანი გამარჯვებული ბრუნდება, ხოლო მაშინ მას შეუძლია ცხოვრებას გაუწიოს კრიტიკა და მომართოს ისე, როგორც მასა სურს.

ბუნება ძუნწია. ბუნება- ეს არის ისეთი რამ, რომელმაც არ იცის ავი და კარგი. რომელმაც არ იცის როგორი მომზადებული უნდა გამოიყვანოს ადამიანი ბრძოლის ველზე საბრძოლველად. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც მას გამოჰყავს ბრძოლის ველზე სათანადოდ მომზადებული, რომელმაც უკვე კარგად იცის, როგორ უნდა იბრძოლოს ან რისთვის უნდა იბრძოლოს. ამ დროს იგი ცხოვრებით აღსავსეა, იგი გალაღებულია, ცხოვრებაში კეკლუცი ბუნების ცქერით ვერა ძღება იგი. მაგრამ საუბედუროთ მას აღარ მისცა ბუნებამ იმდენი ძალღონე, რომ ცხოვრებაში მან თამამად იბრძოლოს. იგი ფიზიკურად უძლურია. მას არ შეუძლია შექმნას ის, რაც ყოველ ჩვენგანს, რაც ყოველი ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს, მან მართალია იპოვა ცხოვრებაში უკვე ისეთი გზა, რომელიც მიმართული ადამიანის საბოლოო უზრუნველყოფისაკენ, მაგრამ იგი ამ გზის ბოლოში ვეღარ გადის, იგი ვეღარ აღწევს თავის მი-

ზანს, რომლის შემდეგ იგი ცხოვრებაში თავის თავს არარა-და სთვლის და არის კიდეც. იგი ყოველ წუთში მზადაა შაე-წიროს ცხოვრებას, რომლისადმი იგი დამარცხებული გამო-დის. იგი ვერ აღწევს თავის მიზანს, რომლისაგანაც ბო-ლოს უნდა შექმნილიყო ცხოვრების ერთ-ერთი მესაჭე.

ან კი, რა არის ისეთი ადამიანი, რომელიც ცხოვრება-ში გამოვა დამარცხებული, რომელიც ვერ მიაღწევს თავის მიზანს და ბოლოს იჭყვიან, იყო და აღარ არის. სინანუ-ლით მოიხსენებენ, რომ იბრძოდა საბოლოო არსებობისათვი-სო და მიზანს ვერ მიაღწიაო. მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდის არის; ყოველთვის როდის მარცხდება ადამიანი ცხო-ვრებაში. ეს როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ხშირად გამარჯვე-ბული ბრუნდება ცხოვრებიდან ადამიანი - ადამიანი არა ისეთი, როგორზედაც მე ვლაპარაკობ, არამედ ადამიანი, რო-მელიც სრულიად ჯანმრთელია, როგორც სულიერად, ისე ფიზი-კურად. ადამიანი, რომელიც ცხოვრების ყოველგვარ პირო-ბებს შეეგუება და მომართავს, ისე, როგორც მასა სურს; მაგრამ სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ ასეთი ადა-მიანები იშვიათად მოიპოვებიან მთელს ცხოვრებაში და ცხოვრების დღევანდელ ტემპერამენტის დროს არც მოველი ასეთ ადამიანებს, ჯერ კიდევ ცხოვრების რამდენიმე სა-

ფეხური უნდა განვლოთ, რომ ასეთი პირები ვნახოთ.

÷

÷ ÷

> ქალი სიმწარეა, მაგრამ ორი კარ-
> გი დრო აქვს: ერთი – პირველი ღა-
> მის და მერე – სიკვდილის.

ცხოვრებას მრავალი საფეხურები აქვს. ადამიანი ძლიერ უნდა ეცადოს, რომ განვლოს ცხოვრების ეს საფეხურები. ზოგი რის ვაი-ვაგლახით ადის ცხოვრების ამ საფეხურებზე, ზოგი ახლო ვერცკი ეკარება და პირველ საფეხურზედაც ვერ შეუდგავს ფეხი; მხოლოდ ზოგი უკვე ასულია რამდენიმე ასეულ საფეხურზე, მაგრამ რაღაც მიზეზით დაუსხლტება ფეხი ძირს გადმოიჩეხება და პირველ საფეხურთან მყოფს გაუთანასწორდება. მხოლოდ ზოგი კი თვით ცხოვრების სხვერპლი ხდება.

—სულ რამდენიმე წელიწადი იქნება, რაც ცხოვრების გზას დავადექი და თანამედროვე ტემპერამენტს მივსდევ კრიტიკულის თვალსაზრისით. ვიცი ის, რომ ვინც ცხოვრებაში ერთ სწორ ხაზს აიღებს და მას მიჰყვება ბოლომდის, მხო-

ლოდ მას შეუძლია მიაღწიოს ცხოვრების საბოლოო საარსებო წყაროს და თავისუფლად ყნოსოს კეკლუცი ბუნების მიერ მინიჭებული სუფთა ჰაერი; მხოლოდ მას შეუძლია თქვას, რომ ცხოვრებისათვის დიდი სარგებლობის მოცანა შემიძლიაო. მხოლოდ მას შეუძლია ცხოვრება მომართოს ისე, როგორც მასა სურს. ვინ იცის ცხოვრების განვლილ ვიწრო საფეხურებში რა აღარ შემხვედრია და ვის აღარ შევხვედრივარ. ყველაფერი თავისუფლად გადამიცდია, ყველაფერი კრიტიკის ქვეშ გამიტარებია და რაც მისაღები ყოფილა, მიმიღია და განმიხორციელებია კიდეც იგი ცხოვრებაში შეძლების-დაგვარად.

ცხოვრებაში სიარულის და ხეტიალის დროს, ჩემდა უნებურად მივადექი სიყვარულს კარებზე, რომლის დანახვისთანავე ვიბრუნე პირი ზურგისკენ და აუჩქარე სიარულს, რადგან ვიცოდი, რომ – სიყვარული ეს ისეთი რამ არის, რომლისაგანც კაცი თავს ადვილად ვერ დააღწევს: – სიყვარული ეს ისეთი რამ არის, რომელიც ძლიერ თავხედი, მოურიდებელია და თუ ჩაუსახლდა ადამიანს სურს თუ არა; ის მაინც აღარ მოუშვება მას, სანამ სული უდგის. მხოლოდ, როდესაც ადამიანი გამოეთხოვება ამ ქვეყნიურ სიცოცხლეს და ჩაეხუტება გულმკერდში

თავის საყვარელ მშობელ ბუნებას, მხოლოდ მაშინღა გამოეთხოვება მას სიყვარული და ეტყვის: — „მოგაცილე სამარის კარამდის ცხოვრებაში დამარცხებული მებრძოლი და მასთან ერთად ცხოვრებით გაუმაძღარი ჩემი ძვირფასი ნაძალადევი მასპინძელი შენმა უიმედობამ, უხეშმა და დაუდგრომელმა სტუმარმა და ახლა შენ იცი"ო. მე კი ახლა წავალ მოგიყვან შენს მეგობარს და მერე ჩვენ სამივე ერთად ვიქნებით მარადიულად გაუყრელნი."

ყოველივე ამის წარმომდგენელმა; ყოველივე ასეთი დეტალების განხილვის შემდეგ, ვეცადე როგორმე თავი დამეხწია მისთვის, დანახვისთანავე. მაგრამ ამაოდ. შემნიშნა თუ არა, ამედევნა და ძალაუნებურად მომეხვია კისერზე. მე ძალიან ვცდილობდი იგი როგორმე მომეშორებია კისრიდან. როგორც ბინძური მძორი და ვეხვეწებოდი:

სიყვარულო რა გინდა ჩემგან, მომეხსენ განმათავისუფლე, არ მცალია ჯერ შენთვის; ნუ შემბოჭავ, ნუ დამიმონებ სიცოცხლით აღსავსე და ცხოვრებაში გალაღებულ ახალგაზრდის გულს, ნუ გაჰხვევ მას ფიქრებით მოქსოვილ ჩადრებში, ნუ ამივსებ თვალებს ცრემლებით. გეხვეწები, გემუდარები მომეც საშუალება კიდევ რამდენიმე-

ჯერ თავისუფლად და ულარდელად გადავავლო თვალი ცხოვრებას. ცხოვრებას, რომელიც ბევრისათვის სატანჯველი რთრამ არის, ცხოვრებას რომელიც ხშირად სანეტაროა, მაგრამ სულ ტყუილად: მართალი ყოფილა ის, რომ სიყვარული არის უხეში, მოურიდებელი, წინდაუხედავი და მასთან ერთად უხილავიც. მას არავითარი ხვეწნა, არავითარი მუქარა არ აშინებს. მკითხველისადმი შეიძლება დაიბადოს კითხვა იმის შესახებ თუ, როგორ სიყვარულზე არის აქ ლაპარაკი. რასაკვირველია ლაპარაკია არა იდეალურზე, არამედ ~~მოლფრულზე~~ მიწიერულზე. შეიძლება ისეთ-მა პირმა თქვას მე შემიძლიაო სიყვარული, რომელიც სქესობრივ ურთიერთობაში სხვასთანაც არის, ამით სიყვარული როგორც ასეთი არ შეილახება, როგორც ამას ამტკიცებს დიადი მგოსანი, გარკვეული და ნათელი გონების მწერალი -შოთა რუსთაველი. იგი ამას ნათლად გვიმტკიცებს თავის გენიალურ პოემაში -ვეფხვის ტყაოსანში თავის გმირების მოქმედებით.

ტარიელს გაგიჟებით უყვარს ნეხტან დარეჯანი მაგრამ სქესობრივი ურთიერთობაში სხვა ქალთანაც არის. ფატმანთან სქესობრივი ურთიერთობა ავთანდილს ხელს არ უშლის გულში ატაროს თინათინის სიყვარული ღრმად. ყოველგვარი სქესობრივი გატაცება რუსთაველს სიყვარულად არ

ეჩვენება. რუსთაველის სიყვარული ექსტაზის ერთ ფორ-
-მათაგანია . მიჯნურობა სულიერი ლტოლვაა, მიჯნურობა
ერგვარი გარინდება და სიგიჟეა. მიჯნური განსაკუთრე-
ბული პროფესიის კაცია. ყოვლად მიუღებელია უგულო სი-
ყვარული, უგულო სიყვარული არის უექსტაზო.- სიყვარულს,
რომელიც, ადამიანში არ იწვევს გატაცებისა და ერთგვარ
სიგიჟეს. ჩვეულებრივი, ოჯახურ-მეშჩანური სქესობრივი
ურთიერთობა საზიზღარია. საზიზღარია სქესობრივი დაკმა-
ყოფილება პირუტყული გრძნობით. აგრეთვე ყოვლად მიუღე-
ბელია ის, რომ ადამიანს დღეს ერთი უნდოდეს და ხვალ
სხვა. სიყვარული ყოველთვის უნდა იყოს სავსე ექსტა-
ზის გრძნობით. სიყვარულის ობიექტი ხშირად არ უნდა
იცვლებოდეს; ეს ორი დებულება სიყვარულის ფსიქოლო-
გიისა მოითხოვს შორეულ ცრფიალებას.

რუსთაველის გაგებას სიყვარულის დარგში.

მე ნაწილობრივ ვეთანხმები. ~~ნაწილ~~

<u>მე მას არავითარ შემთხვევაში არ დავეთანხმები
იმაში, რომ სქესობრივი ურთიერთობის დაქერით სხვებ-
თან, სიყვარული არ შეილახება. სიტყვა სიყვარულის
სრული მნიშვნელობის გაგებით - ეს არის წმინდათა
წმინდა და როგორც სიყვარული, აგრეთვე მისი პიროვნე-
ბაც მთელი თავისი არსებით უნდა წარმოადგენდეს ადა-
მიანს. ის ვისაც არ შეუძლია სიყვარულის ეს დებულე-
ბები შეინარჩუნოს და გაატაროს მთლიანად იგი ცხოვ-</u>

რებაში, მას არ შეუძლია აგრეთვე სიყვარული.

შეყვარებულის ბუნება ყოველთვის ცვალებადია. მას ახასიათებს უფრო სიჩქარე და მღელვარება. ყველაფერს მალე ითვისებს. ყველაფერს მალე იჯერებს; მაგრამ დიდის ხნით ვერ ინარჩუნებს იგი მას. შეიძლება სულმალ ჩამქრალი გრძნობა სულ მცირე რამემ ჩქარის სისწრაფით გაალუოს. შეყვარებულს მუდმივი სტუმარია ფიქრები. აგრეთვე მისი დამახასიათებელი თვისებაა სითამამე. ახლა განვიხილოთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დებულებები რამდენად მისაღებია და მიზანშეწონილი.

უნდა ითქვას, რომ არც ერთი დებულება არა არის მისაღები. -არც ერთი- მუხლი არ შეიძლება მივიღოთ, თუ ჩვენ გავიგებთ სიყვარულს ისე, როგორც ცხოვრების ამსახველს თანამედროვე ტემპერამენტის დროს. მტკიცება იმის, რომ ეს მუხლები მისაღებია,- აბსურდია და მეტი არაფერი. ჯერ ჩვენ სიყვარულის ამსახველი ნამდვილი დებულებები არ მოგვეპოვება ცხოვრებაში. ჩვენ იმ დებულებებს ჯერ კიდევ გვიან მივაღწევთ, რომელნიც აუცილებელია და დასაბამი იქნება სიყვარულისათვის; გვიან მივაღწევთ უფრო იმიტომ, რომ როგორც ვიცით სიყვარულს საქმე აქვს ყოველთვის საზოგადოების იმ რეგებში, რომელნიც ყოველთვის რყევას განიცდიან, რომელთა ბუნებაც ყოველთვის

ცვალებადია, რომელნიც ჯერ მოუმზადებელნი არიან ცხოვრებაში ბრძოლის ველზე გამოსასვლელად...

1928 წ ე ლ ი 20/12 ტფილისი.

ზაქარია ზაუტაშვილი.